საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030112912751320

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/68 **06 / იანვარი / 2020 წ.**

ხონის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ლადო ჯურხაძეს

ბატონო ლადო,

როგორც მოგეხსენებათ, ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების ხარისხის გაუმჯობესება და მოსახლეობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ხელშეწყობა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს. 2014-2020 წლების ფსიქიკური ჯანმრთელობის განვითარების სამოქმედო გეგმის მთავარი მიმართულებაა სერვისების დეინსტიტუციონალიზაცია, ხანგრძლივი მოვლის, საცხოვრისის ტიპის და თემზე დაფუძებული სერვისების განვითარება.

გასათვალისწინებელია, ის ფაქტიც, რომ ფსიქიატრიული პროფილის სტაციონარებში განთავსებული ბენეფიციარების მნიშვნელოვანი ნაწილი უფრო მეტად ხანგრძლივი მოვლის და საცხოვრისის ტიპის სერვისების მიწოდებას საჭიროებს და მათი გადაყვანა გრძელვადიანი მოვლისთვის განკუთვნილ დაწესებულებებში გააუმჯობესებს მომსახურების ხარისხს და იქნება წინ გადადგმული ნაბიჯი ადამიანზე ორიენტირებული ფსიქიკური დახმარების სერვისების განვითარებისკენ.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ დაიწყო ინტენსიური მუშაობა და მომავალი წლის სექტემბერში ქ. რუსთავში და შემდეგ წლებში სხვა რეგიონებშიც აშენდება საცხოვრისის ტიპის და მცირე ზომის საოჯახო ტიპის დაწესებულებები, თუმცა ეს მომავლის პერსპექტივაა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საცხოვრისის ტიპის სერვისების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაფართოების მიზნით, გთხოვთ, შესაძლებლობის გათვალისწინებით, განიხილოთ თქვენს მუნიციპალიტეტში ხანგრძლივი მოვლის სერვისების 2020 წლის ბიუჯეტით დაფინანსების შესაძლებლობა, მით უფრო რომ აღნიშნული სერვისებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა უახლოეს მომავალში უზრუნველყოფილი იქნება შპს "აკადემიკოს ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის" მიერ. ამასთან, მოგახსენებთ, რომ აღნიშნული ტიპის სერვისების დაფინანსების გამოცდილება უკვე არსებობს აჭარის მთელ რიგ მუნიციპალიტეტებსა და ქ. ბათუმში. გრძელვადიანი სერვისების განვითარებას კი მოჰყვება ფსიქიკური სერვისების მიმწოდებელი სტაციონარების ოპტიმილური გამოყენება პაციენტებისთვის, ვისაც მწვავე და ინტენსიური მოვლა სჭირდებათ.

პატივისცემით,

მინისტრის პირველი მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

თამარ გაბუნია